


სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის დაბეგვრა 2611



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

ანოტაცია
„სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის დაბეგვრა“ №2611
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში აღნიშნული დანაკლისის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“-ს საგადასახადო ორგანოს მიერ 2017 წლის აპრილის თვეში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოუვლინდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 100 000 ლარს.

გადასახადის გადამხდელს მოგების გადასახადში არ განუხორციელებია ინვენტარიზაციის შედეგებზე საგადასახადო ანგარიშგება.

სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა. ამავე კოდექსის 98³ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი ითვლება მისი გამოვლენის მომენტში ამ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებად. ამასთან, სსკ-ის 97-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 98¹–98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „X“-თან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის გამოვლენა წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

შესაბამისად, პირი ვალდებული იყო, მოგების გადასახადით დაებეგრა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი 100 000 ლარის ოდენობით.